საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ირინა შტენბერგი

ირინა შტენბერგი (1903–1984), მხატვარი, წარმოშობით გერმანელი. მამა – ვალერიან შტენბერგი ინჟინერ-მშენებელი იყო და ხშირად იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. ასე მოხვდა იგი ოჯახთან ერთად პეტერბურგიდან საქართველოში. ირინა შტენბერგი თბილისში დაიბადა. პროფესიული განათლება „კავკასიის ნატიფი ხელოვნების წამახალისებელი საზოგადოების“ ფერწერისა და ქანდაკების სკოლაში მიიღო. 1923-1927 წლებში იგი თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. აკადემიაში სწავლისას გამოიკვეთა, რომ მოდერნის სტილის ეროტიკულ-დეკადენტური ესთეტიკა განსაკუთრებით მიმზიდველი იყო ახალგაზრდა მხატვრისათვის. 1929 წლიდან ი. შტენბერგი მოსკოვს გაემგზავრა და იმავე წელს მოსკოვში მისი პირველი პერსონალური გამოფენა მოეწყო. მან რამდენიმე წელი გაატარა მოსკოვში, შემდეგ საქართველოში დაბრუნდა. XX ს-ის 20-იანი წლების მიწურულიდან გაძლიერდა იდეოლოგიის ზეწოლა ხელოვნებაზე. შტენბერგმა 1936 წლიდან ერთგვარი თავშესაფარი ჰპოვა თეატრში. ამის შემდეგ ის დაზგურ გრაფიკას აღარ დაბრუნებია (თუ არ ჩავთვლით პორტრეტების სერიას). ამის გამო ი. შტენბერგი ცნობილი იყო როგორც თეატრის მხატვარი, ხოლო მისი დაზგური შემოქმედება საზოგადოებისათვის უცნობი რჩებოდა. კოლექციონერები მხატვრის შემოქმედებით მას შემდეგ დაინტერესდნენ, როდესაც XX ს-ის მიწურულს ირინა შტენბერგის ნამუშევრები პირველად ფილიპსისა და სოტბის აუქციონებზე გამოჩნდა.